ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 165

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2022 წლის -- 19 მაისი -- ქ. ქუთაისი

შემსყიდველი - საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგად

საიდენტიფიკაციო კოდი: 218037531

მისამართი: ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის 1 შესახვევი N 1 ტელ. 23-24-99, 577 19 18 63

მიმწოდებელი - **შ.პ.ს. ,,მაიპისი'', ს/კ 412694071, ა/ნ GE13BG0000000932509300**

მისამართი, **ქ. ქუთაისი, ფანჯიკიძის N 28**

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, ადასტურებენ რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგ

1. ხელშეკრულების საგანი:

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების N1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნუ საქონელი ხელშეკრულების პირობებისა და ფასების ცხრილში აღნიშნული ხარისხის, რაოდენობისა და ფასის შესაბამის

საქონელი და მომსახურება CPV (30100000)

1.2. ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული დანართი N1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილ

1.3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

1.4. ხელშეკრულების დადების საფუძველს წარმოადგენს ,,საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველ კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს1'' ქვეპუნქტი და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2021 წლის 29 დეკემბრის #1132 ბრძანება.

2. ხელშეკრულების ფასი:

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია N1 დანართში (ფასების ცხრილი)

2.2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს:

295.00 (ორასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი 00 თეთრი

2.3. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლი მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახ მოსაკრებელს, სახდელს.

2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებ

2.5. კონტროლი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე დაევალოს ანგარიშვალდებულ პირს (მამუკა სანიკიძე) და მიღებ ჩაბარების აქტის გაფორმება განახორციელოს ამ ხელშეკრულების შესაბამისად.

3. ხარისხი:

3.1. საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში და ხელშეკრულების დანარ აღნიშნულ პარამეტრებს.

3.2. მიმწოდებელი კისრულობს გარანტიას მიწოდებულ საქონელზე და პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე, ხო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან _5_ დღ განმავლობაში, და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია _5_ დღეში ან გამოცვალოს წუნდებული პროდუქცია ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

4. მიწოდების წესი:

4.1. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით საქონლის მიწოდების გრაფიკში მითითებუ ვადებში და ადგილზე.

4.2. მიმწოდებლის მიერ საქონლის საბოლაო მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან _5_ დღის განმავლობაში.

4.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საქონლის ყოველი პარტიის მიწოდების დროს გადასცეს შემსყიდველს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

4.4. შემსყიდველი ვალდებულია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოს
პირს, მე-3 ქვეითი ბრიგადის 35-ე უზრუნველყოფის ბატალიონის შტაბისS-4-ის სპეციალისტს ს/პ **მამუკა სანიკიძეს**.

4.5. შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი საქონლის პარტიის მიღებაზე, თუ იგი უხარისხოა, ან არ იქნება წარმოდგენილი თანხლები დოკუმენტაცია სრული მოცულობით, ან დარღვეული იქნება მიწოდების ვადები, ან სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.6. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით: მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურა და/ან სხვა დოკუმენტით, რომელიც ადასტურებს საქონლის გადაცემას მიმწოდებლისაგ შემსყიდველზე.

4.7. ამ ხელშეკრულების 4.6. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე ეკუთვ და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე ეკისრება მიმწოდებ ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

4.8. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. ანგარიშსწორები:

5.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება საქონლის ყოველი პარტიის გადაცემის შემდეგ _10_ კალენდარული დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზ მასში აღნიშნული რაოდენობის პროპორციულად.

5.2. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

5.3. გადახდის ფორმა: __უნაღდო___

5.4. გადაცემის თარიღად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღი.

6. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა:

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საუ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობ

6.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

6.3. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი და ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული საურავების ჯამური თანხა გადააჭარბებს მიუწოდებ საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%_ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულებ შეწყვეტის შესახებ და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულიდან დარჩენილ მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 2%-ის ოდენობით.

6,4, თუ მიმწოდებელი განაცხადებს არამოტივირებულ უარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებაზე შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მიმწოდებელს მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 2%.

7. სხვა პირობები:

7.1. ეს ხელშეკრულება შეთანხმებულია მესამე ქვეითი ბრიგადის ბუღალტრული აღრიცხვის სამსახურის უფროსთან, ძალაშ შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 27 06. 2022 წ. ჩათვლით.

7.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

7.3. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.4, ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

7.5. ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭებ ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

დანართი N1

19 მაისი 2022 წ. N 165 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

N	პროდუქციის დასახელება	პროდუქციის მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	ლამინაცია A3 125MIC 100 ც/შ LMA3125 შეკვრა	30192700	შეკვრა	2	70.00	140.00
2	კარტრიჯი MLT-D101S Toner cartrdge EXP	30125100	ცალი	1	50.00	50.00
3	კარტრიჯი HPLJ1010/1020/M1005/CanonMF4018/LBP2900 Q2612FX1	30125100	ცალი	1	25.00	25.00
4	კარტრიჯი HPLJ1010/1020/M1005/CanonMF4018/LBP2900 Q2612FX1	30125100	ცალი	1	25.00	25.00
5	კალკულატორი 12 თანრიგიანი CL-1200V/512005	30141200	ცალი	2	15.00	30.00
6	კარტრიჯი HPLJ1010/1020/M1005/CanonMF4018/LBP2900 Q2612FX1	30125100	ცალი	1	25.00	25.00
					სულ ჯამი	**295.00**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ქუთაისი 19 მაისი 2022 წელი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადის მეთაურ პოლკოვნიკი მიხეილ გოგნაძე ვადასტურებ, რომ თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადის მიერ შ.პ.ს. ,,მაიპისი''-სთან (ს/კ 412694071) გამარტივებული შესყიდვების საშუალებით (2022 წლის 19 მაისს გაფორმებული ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ N 165 ხელშეკრულების ფარგლებში) შესყიდვის განხორციელება/მონაწილეობის მიღება არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შ.პ.ს. ,,მაიპისი''-სთან არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

შემსყიდველის მხრიდან **მიმწოდებლის მხრიდან**

პოლკოვნიკი მ. გოგნაძე **შ.პ.ს. ,,მაიპისი''**

MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA 3rd INFANTRY BRIGADE OF WESTERN COMMAND OF DEFENCE FORCES

Digitally signed by MINISTRY OF DEFENCE OF GEORGIA 3rd INFANTRY BRIGADE OF WESTERN COMMAND OF DEFENCE FORCES
Date: 2022.05.19 11:12:40 +04'00'

Marine Butskhrikidze

Digitally signed by Marine Butskhrikidze
Date: 2022.05.19 11:20:23 +04'00'